დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 31 მაისი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №28 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 26/12/2023, ს/კ 010250020.35.152.016503), კერძოდ,

ა) დადგენილების №2 დანართის სახით დამტკიცებული „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის №24-ე სტრიქონი:

„

24	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	1

“;

ბ) დადგენილების №3 დანართის „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის“ მე-20 სტრიქონი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„

20	სპეციალისტი მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში	4

“;

გ) დადგენილების №3 დანართის „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის“ 32-ე სტრიქონი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„

32	სპეციალისტი ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში	3

“.

მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კახაბერ ჩიტაური**